განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 29-30 სექტემბერი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

25 ნოემბერი 2021

თბილისი 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ეკონომიკა Economics
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ეკონომიკის ბაკალავრი Bachelor of Economics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0311 ეკონომიკა Economics
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #278; 11.11.2011

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე/შპს საქართველოს უნივერსიტეტი/საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ბარამიძე/შპს კავკასიის უნივერსიტეტი/საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ ყაველაშვილი/სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე/შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე/შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი/საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამამ 2011 წელს გაიარა აკრედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #278; 11.11.2011. პროგრამა ამჟამად ხელახლა წარდგენილია აკრედიტაციაზე.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ეკონომიკა“ მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება:

ა) თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები - 55 კრედიტი (მათ შორის სავალდებულო - 45 კრედიტი, არჩევითი - 10 კრედიტი)

ბ) ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები - 125 კრედიტი, მათ შორის: ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები - 95 კრედიტი ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი.

გ) დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი (სტუდენტს შესაძლებლობა აქვს დამატებითი პროგრამის შესრულების ნაცვლად 60 კრედიტი შეავსოს დამატებით თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსებით).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა თავად 240 კრედიტიანია, თუმცა ის შედგება 7 კონცენტრაციისგან, რომლებიცაა:

1. საერთაშორისო ეკონომიკა

2. ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა
3. ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა
4. ეკონომიკური პოლიტიკა
5. შრომის ეკონომიკა
6. მენეჯერული ეკონომიკა
7. მაკროეკონომიკა

ასევე პროგრამას აქვს 2 მაინორი, ერთი ბიზნესის სპეციალობის ბაკალავრებისათვის, ხოლო მეორე სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის.

პროგრამამ წინა აკრედიტაციის შემდგომ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, პროგრამის სწავლის შედეგები გადამუშავდა და 6 შედეგის ჯგუფის ნაცვლად ჩამოყალიბდა სამ ჯგუფად კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით;

გადამუშავდა და განახლდა პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი (მათ შორის, სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები, დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურა), ცალკეულ შემთხვევაში შეიცვალა სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები და ლექტორი/ლექტორები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - 2021 წლის 29-30 სექტემბერს აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკის და ბიზნეს ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის, ეკონომიკის პროგრამების აკრედიტაციის მიზნით, Zoom.us პროგრამული უზრუნველყოფით.
  - ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი შეკრება განხორციელდა 17 სექტემბერს 14:00.-დან 16:00 საათამდე და 27 სექტემბერს 19:00-დან 21:00 საათამდე, Zoom.us პროგრამული უზრუნველყოფით. პირველ შეხვედრაზე მოხდა წარმოდგენელი დოკუმენტაციისა, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშების განხილვა. დაიგეგმა დასკვნებისა მომზადების სტრატეგია, გადანაწილდა სტანდარტები და ქვესტანდარტი ჯგუფის წევრებს შორის. მეორე შეხვედრაზე ცენტრის მიერ მოწოდებული დღის განრიგისა და დასკვნის ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა აკრედიტაციის ვიზიტისას, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს პროცესში, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

- 29 და 30 სექტემბერს დაწესებულებაში ვიზიტი შეთანხმებული პროცედურებით წარიმართა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) ონლაინ დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კარგი სამუშაო გარემოთი და მათ საშუალება ჰქონდათ ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი პროგრამა სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს.

მათ შორის:

- პირველი სტანდარტი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს.
- მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია რადგან 2.3, 2.4, 2.6 მეტწილად შესაბამისობაშია ხოლო დანარჩენი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- მესამე სტანდარტის სრულად შეესაბამება მოთხოვნებს;
- მეოთხე სტანდარტი სრულად შეესაბამება, მისი 4.4 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო დანარჩენი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- მეხუთე სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები
  - ✓ უნდა გადაიხედოს „გამოყენებითი კვლევითი პროექტის“ მომზადების მოთხოვნები, უნდა შემცირდეს პროექტის შესრულების მოთხოვნები ან/და გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა.
  - ✓ სისტემატურად უნდა ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება, რათა იგი ასახავდეს დარგის თანამედროვე მიღწევებს და მოიცავდეს უახლეს კვლევებს ამ სფეროში.
  - ✓ მიზანშეწონილია რეგულარულად ხდებოდეს სასწავლო კურსების გადახედვა/ ოპტიმიზაცია -- ერთის მხრივ, თემატური გადაფარვების ასარიდებლად, მეორეს

მხრივ კი, საბაკალავრო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მათი სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

- ✓ გამომდინარე იქედან, რომ „გამოყენებითი კვლევითი პროექტი "არის სასწავლო კურსი, უნდა შეიცვალოს მისი შეფასების სისტემა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი) შესაბამისად, ამასთანავე უნდა შეიცვალოს შეფასების კრიტერიუმები.
- ✓ სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის საჭიროა სწრაფი რეაგირება 2021 წლის აპრილში ჩატარებულ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებზე - კონკრეტული სამოქმედო გეგმის დასახვა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება პრაქტიკა / სტაჟირების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესების კუთხით.
- ✓ უსდ-მ უნდა გადახედოს ბიუჯეტში სტუდენტური საქმიანობისთვის გამოყოფილ დაფინასებას. ბიუჯეტის მუხლი „სტუდენტური სწავლის დაფინანსების, გაცვლითი პროგრამების, პრაქტიკის, ექსპედიციის და სხვადასხვა კულტურულ სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები" - დააცალკევოს კატეგორიებად, რომელიც უფრო გამჭირვალედ წარმოაჩენს ხარჯების სტრუქტურას, და დადგინდება რა დაიხარჯება სტუდენტურ აქტივობებზე, ასევე უნდა გაიზარდოს სტუდენტების კურიკულუმის გარეშე აქტივობების ბიუჯეტი.
- ✓ უსდ-მ უნდა გადახედოს ბიუჯეტს და მასში პერსონალის განვითარებასა და ტრენინგებზე გაითვალისწინოს ხარჯები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ✓ სასურველია მოხდეს მიზნის იმგვარად ფორმირება მასში არ იკვეთებოდეს სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების საკითხი.
- ✓ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის სრულად წარმოსაჩენად უმჯობესია კურიკულუმის რუკას დაემატოს სასწავლო კურსები არჩევითი საგნების კომპონენტიდან.
- ✓ სპეციფიურ სასწავლო კურსებში მიზანშეწონილია შესაბამისი პროგრამული პაკეტების ინტეგრაცია უახლესი საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიღწევების გაცნობა/შესწავლის მიზნით.
- ✓ უსდ-მ სასურველია იზრუნოს პრაქტიკის ცენტრების ადგილზე შექმნაზე, სხვაგვარად ის ვერ უზრუნველყოფს ყოველწლიურად 400 სტუდენტის პრაქტიკას.
- ✓ სასურველია პროგრამაში და სილაბუსებში ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უსდ-მ გამოაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან მიმართებაში, სადაც გამოთქმულ მოსაზრებების ნაწილი გაიზიარა და ასევე მოგვაწოდა მტკიცებულებები ზემით აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა ექპერტთა ჯგუფმა არ შეტანა ცვლილებები დასკვნის პროექტში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც აკრედიტირებული იყო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით #278; 11.11.2011, წარმოდგენილია ხელახალი აკრედიტაციისთვის. პროგრამის მიზანია ინტეგრირებული ფუნდამენტური თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ეკონომიკის დარგის მრავალმხრივი მიმართულებით დასაქმებისათვის, ასევე, სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად. პროგრამის მიზნები ასახავს ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას. პროგრამა შესაბამისობაშია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან (https://old.tsu.ge/ge/about/mission_statement/), რომელიც მოიცავს: ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას; ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; და სხვა. მასში ასახულია უსდ-ს სტრატეგიულ პრიორიტეტთან თანხვედრა. პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც დაფუძნებული იყო პროგრამის ანალიზის, კურსდამთავრებულთა კვლევისა და ეკონომიკის დარგში საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევების ანალიზის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის

ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.

პროგრამა არის მასში ჩართულ წევრების მიერ გაზიარებული, იცნობენ სიღრმისეულად და მუდმივად ზრუნავენ მისა განვითარებაზე.

პროგრამის მიზნები რელევანტურია ეკონომიკის დარგში დამწყები სპეციალისტის ჩამოსაყალიბებლად და მიღწევადია, მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუმცა ზოგადია. ვთვლით, რომ „სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად" სასურველია არ ფიგურირებდეს პროგრამის მიზანში, რადგან ბაკალავრიატის დასრულების გარეშე ვერ გააგრძელებენ სამაგისტრო საფეხურზე სწავლას და ეს ისედაც ცხადია.

აღსანიშნავია, რომ პროგრამას აქვს 2 მაინორი, ერთი ბიზნესის სპეციალობის ბაკალავრებისათვის, ხოლო მეორე სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის, ამ პროგრამებისთვის მიზანი რელევანტურია.

პროგრამის მოქმედი ვარიანტი განთავსებულია ვებ-გვერდზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია, ხოლო განახლებული ვარიანტი განთავსდება რეაკრედიტაციის გავლის შემდეგ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ უნივერსიტეტის მისია https://old.tsu.ge/ge/about/mission_statement/;
- ✓ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024);
- ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი;
- ✓ თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება https://tsu.ge/assets/media/files/7/debuleba.pdf;
- ✓ აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და

უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ სასურველია მოხდეს მიზნის იმგვარად ფორმირება მასში არ იკვეთებოდეს სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების საკითხი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შედეგები შესაბამისია პროგრამის მიზნებთან. ის მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების N69/ნ 10.04.2019 „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“, შესაბამისად. პროგრამის შედეგებში ცალ-ცალკე გამოყოფილია ა) ცოდნა და გაცნობიერება, ბ) უნარი და გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას აქვს ძირითადი შედეგები და კონცენტრაციის შედეგები გამოყოფილი. კონცენტრაციები შემდეგი:

1. საერთაშორისო ეკონომიკა
2. ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა
3. ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა
4. ეკონომიკური პოლიტიკა
5. შრომის ეკონომიკა
6. მენეჯერული ეკონომიკა
7. მაკროეკონომიკა

ასევე პროგრამას აქვს 2 მაინორი, ერთი ბიზნესის სპეციალობის ბაკალავრებისათვის, ხოლო მეორე სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის. მათთვის შედგები ცალკე არ არის მოცემული მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამაში მაინორის შედგები ცალკე იყოს გამოტანილი, თუმცა მისი შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის ძირითად შედეგებთან

პროგრამის 8 შედეგი გასაგებად არის ჩამოყალიბებული შეესაბამება სწავლების მეექვსე დონისადმი წაყენებულ მოთხოვნებს ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციას. პროგრამის აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტებში არსებული ინფორმაციით დგინდება, რომ სასწავლო კომპონენტების შესრულების საფუძველზე გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები, აქტივობები და შეფასების მეთოდები რელევანტურია. პროგრამის შედგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის პროგრამის თვითშეფასებაში ასევე წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რომელიც ნათლად ასახავს პროგრამის მიზნებისა და შედეგების კავშირს. აღსანიშნავია, რომ მაინორებისთვისაც არის ასეთი სახის რუკები წარმოდგენილი, ისინი გადიან პროგრამის ძირითად შედეგებზე.

პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში ჩართული იყო დაინტერსებული მხარეები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები, დამსაქმებლები, უნივერისტეტის და

ფაკულტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალი.

ჩატარებული იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი. შესწავლილი იქნა მსოფლიო საბაზრო ტენდენციები ეკონომიკის დარგში არსებული სპეციალისტების მიმართ.

პროგრამას ახლავს პროგრამის შედეგების შესაბამისობის რუკა, სწავლების შედეგების შეფასების ანალიზი, ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სწავლების შედეგების შესაფასებლად განსაზღვრული შესაბამისი სამიზნე ნიშნულები. ასევე წარმოდგენილია შედეგების სამიზნე ნიშნეულებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

ეკონომიკის პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია სწავლების/სწავლის ის კონკრეტული მეთოდი/მეთოდები, რომლებიც შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კურსის მიზნებს და მისაღწევ (დაგეგმილ) სწავლის შედეგებს. პროგრამა აგებულია, თანმიმდევრულად. შერჩეული სწავლების/სწავლის მეთოდით შესაძლებელია კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნის და შედეგის უზრუნველყოფა და ბაკალავრიატისთვის ამა თუ იმ დარგობრივი და/ან ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციის გამომუშავება. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს თითოეული სასწავლო კურსისთვის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები განსაზღვრული აქვს სილაბუსებში.

ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი დეტალურად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. ისისნი იღებენ ინტენსიურ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საბოლოოდ განხილული დოკუმენტაციით, პროგრამით თვითშეფასების ანგარიშით ექსპერტთა ჯგუფის წევრების აკრედიტაციის ვიზიტის პერიოდში განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. რაც იძლევა საფუძველს, რომ ვთქვათ პროგრამის სწავლის შედეგების ქვესტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N69/ნ 10.04.2019 („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“); ✓ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები ; ✓ უნივერსიტეტის მისია https://old.tsu.ge/ge/about/mission_statement/; ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტი; ✓ აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავროო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს: სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები; ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: A. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; B. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; C. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტი გარე ან შიდა მობილობის გზით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ამასთანავე პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუები გვაძლევს საფუძველს, რომ დავასკვნათ ქვესტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია 22/07/2019 დადგენილება №100/2019-ის თანახმად (სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“, დანართი 1). პროგრამა შექმნილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; მის შემუშავებაში მონაწილეობა დაადასტურეს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ფაკულტეტისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამის სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია თსუ ვებ-გვერდის საშუალებით: https://tsu.ge/assets/media/files/7/saswavlo%20programebi/magistratura/mag.ec%2020-22.pdf

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის არსებობა და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს თსუ სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად. ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ საჯაროა და პროგრამის აღწერილობასთან ერთად განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე:
https://tsu.ge/assets/media/files/7/saswavlo%20programebi/bakalavriati/bak.%20ek%2020-24.pdf.
საბაკალავრო პროგრამაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩარიცხვის მაჩვენებელი სტაბილური და ზრდადია. ამჟამად აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობა პროგრამაზე 1 634-ს შეადგენს. შრომის ბაზრის ანალიზი ცხადყოფს, რომ სპეციალობაზე მოთხოვნა მაღალია, რაც ასევე დასტურდება კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმების მაჩვენებლით (საშუალო 56%, 5 წლის განმავლობაში).
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ეკონომიკა“ მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც სტრუქტურულად განაწილებულია თავისუფალი კომპონენტის, ძირითადი სწავლების სფეროს და დამატებითი პროგრამის სასწავლო კურსებს შორის:

- თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები - 55 კრედიტი (მათ შორის სავალდებულო - 45 კრედიტი, არჩევითი - 10 კრედიტი)
- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები - 125 კრედიტი (მათ შორის სავალდებულო - 95 კრედიტი, არჩევითი - 30 კრედიტი)
- დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი (სტუდენტს შესაძლებლობა აქვს დამატებითი პროგრამის შესრულების ნაცვლად 60 კრედიტი შეავსოს თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსებით).

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია პროგრამის მოცულობა და სავალდებულო/ არჩევითი საგნების, ასევე დამატებითი არჩევითი კონცენტრატების მრავალფეროვნება, რაც სტუდენტს ფართო არჩევანის საშუალებას აძლევს.

წარმოდგენილ პროგრამის კონცენტრაციებია: საერთაშორისო ეკონომიკა; ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა; ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა; ეკონომიკური პოლიტიკა; შრომის ეკონომიკა; მენეჯერული ეკონომიკა; და მაკროეკონომიკა. თითოეულ კონცენტრაციაში წარმოდგენილი ძირითადი და არჩევითი საგნები შეესაბამება მასში წარმოდგენილ სპეციალიზაციას. ასევე პროგრამას აქვს 2 მაინორი, ერთი ბიზნესის სპეციალობის ბაკალავრებისათვის, ხოლო მეორე სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის. ორივე მანორის 60 კრედიტიან პროგრამაში სასწავლო კურსები ლოგიკური და თანმიმდევრულია. პროგრამის კურსების სილაბუსების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა შესაბამისობაშია სწავლების მოცემულ საფეხურთან. პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი თანმიმდევრულად არის დალაგებული; სასწავლო კურსებზე და სხვა კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები მთლიანობაში ლოგიკური და ადეკვატურია. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა საჭიროებებს და ხელმძღვანელობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების დამტკიცებული წესებით. გასაუბრებების შედეგად პროგრამის შექმნაში ჩართულობა დაადასტურეს, როგორც აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ისე ხარისხის მართვის სამსახურმა, სტუდენტებმა/კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. პროგრამა სტრუქტურულად გამართულია და შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს და ეკონომიკის ბაკალავრის მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. უსდ-ს მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა და ჩატარებული ინტერვიუები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სასწავლო და პრაქტიკის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;

- ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები
- ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია https://www.tsu.ge/icsp/legalakad/15843
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:
- ✓ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები ;
- ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი. თსუ-ს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების ანალიზმა გამოავლინა, რომ მათი სწავლის შედეგები ძირითადად შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. მცირე გამონაკლისების გარდა, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი ასევე უზრუნველყოფს ამ კურსის სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისობას უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურის სწავლების დონესთან. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია კრედიტების მოცულობის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ. როგორც ითქვა, სასწავლო კურსების შინაარსი ძირითადად შესაბამისობაშია ამ კურსის სწავლის შედეგებთან, თუმცა ზოგიერთი მათგანი მაინც საჭიროებს გადახედვას, მაგალითად: მენეჯერული ეკონომიკის მოდულის კურსებში „მეწარმეობის ეკონომიკა“ და „ფირმის ეკონომიკა“ შეინიშნება ნაწილობრივი თემატური გადაფარვა, დამხმარე ლიტერატურაში ზოგიერთი პუბლიკაცია 2007-2011 წლებით თარიღდება; საერთაშორისო ეკონომიკის მოდულში „საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია“ და „მსოფლიო ეკონომიკა“ ასევე საჭიროებს ოპტიმიზაციას (შესაძლო გაერთიანებას), დამხმარე ლიტერატურაში ორივეგან ფიგურირებს ი. გუროვას 2014 წლის „მსოფლიო ეკონომიკა“, ასევე სხვა მოძველებული პუბლიკაციები (ფუტკარაძე 2010, ედვარდსი და ლოურენსი 2013 – „ეკონომიკური ინტეგრაცია“). სასწავლო კურსი „გამოყენებითი კვლევითი პროექტი“ არის 5 კრედიტიანი, რომლის ფარგლებში უნდა მომზადდეს 30-35 გვერდიანი ნაშრომი, რომელიც უნდა მოიცავდეს კვლევითი ნაშრომის ყველა კომპონენტს (პრობლემა, მიზნები, ამოცანები, მეთოდოლოგია, დასკვნები და რეკომენდაციებს) მიგვაჩნია, რომ ამ სახის და მოცულობის ნაშრომის მოცულობისთვის სტუდენტს არ ეყოფა 125 საათი მუშობა. უნდა გადაიხედოს „გამოყენებითი კვლევითი პროექტის“ მოთხოვნები შემცირდეს მოთხოვნები ან უნდა გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საბაკალავრო პროგრამის

პერიოდული შემოწმების ფარგლებში, ყოველწლიურად გადაიხედოს სასწავლო კურსების შინაარსი და მათი შესაბამისობა როგორც საგნის, ისე პროგრამის სწავლის შედეგებთან. თეორიის და პრაქტიკის ურთიერთკავშირის გასაღრმავებლად ისეთ დისციპლინებში, როგორებიცაა მაგალითად, „ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“, „მათემატიკური მოდელირება ეკონომიკაში“, „ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლები“, „ოპერაციათა კვლევა“, „ეკონომეტრიკა“ და სხვა, საოფისე პროგრამების შესწავლის გარდა მიზანშეწონილია შესაბამისი პროგრამული პაკეტების ინტეგრაცია სასწავლო კურსებში, მათი, სულ მცირე, გაცნობის მიზნით.

პროგრამა იყენებს სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს, სწავლის შედეგების მიღწევის და შეფასების ინსტრუმენტად პროგრამაში წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის, კურიკულუმის და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკები (დანართი 4). თუმცა კურიკულუმის რუკაში შეყვანილი არაა ისეთი არჩევითი საგნები რომლებიც თავიანთი შინაარსით და შედეგებით პროგრამის ერთ ან მეტ სწავლის შედეგზე გადიან („აკადემიური წერა“, „მიკროეკონომიკა“, „მაკროეკონომიკა“, „სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისათვის“, „მენეჯერული ეკონომიკა“ და სხვა). ზოგიერთი სილაბუსის მიხედვით (ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საფუძვლები, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, ეკონომეტრიკა, ეკონომიკური აზრის ისტორია და ა.შ.) განსაზღვრული ქულა იწერება დასწრებაში, რაც კურსის სწავლის შედეგებთან პირდაპირი კავშირის დადგენის საშუალებას არ იძლევა.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა უმრავლეს შემთხვევებში წარმოდგენილია კურსის ავტორის/ ლექტორის სახელმძღვანელოებით. დამხმარე ლიტერატურა კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგჯერ მოძველებულია, თუმცა მთლიანობაში სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ითვალისწინებს დარგის აქტუალურ მიღწევებს და უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში, რაც საბაკალავრო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები
- ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:
- ✓ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები ;
- ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

- ✓ უნდა გადაიხედოს „გამოყენებითი კვლევითი პროექტის“ მომზადების მოთხოვნები, უნდა შემცირდეს პროექტის შესრულების მოთხოვნები ან/და გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა.
- ✓ სისტემატურად უნდა ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება, რათა იგი ასახავდეს დარგის თანამედროვე მიღწევებს და მოიცავდეს უახლეს კვლევებს ამ სფეროში.
- ✓ მიზანშეწონილია რეგულარულად ხდებოდეს სასწავლო კურსების გადახედვა/ ოპტიმიზაცია -- ერთის მხრივ, თემატური გადაფარვების ასარიდებლად, მეორეს მხრივ კი, საბაკალავრო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მათი სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის სრულად წარმოსაჩენად უმჯობესია კურიკულუმის რუკას დაემატოს სასწავლო კურსები არჩევითი საგნების კომპონენტიდან.
- ✓ სპეციფიურ სასწავლო კურსებში მიზანშეწონილია შესაბამისი პროგრამული პაკეტების ინტეგრაცია უახლესი საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიღწევების გაცნობა/შესწავლის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.

თსუ-ს ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გარდა პროფესიული თეორიული ცოდნის მიწოდებისა, მიზნად ისახავს სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი და სპეციალობასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება/გაღრმავებას.

კვლევითი უნარების განვითარება ხდება საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული კვლევითი/გამოყენებითი პროექტის საშუალებით.

პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია პრაქტიკის კომპონენტი, ხოლო სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები და ჯგუფური სამუშაოები.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფის შესაძლებლობა დასტურდება დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმებით. ასევე, პრაქტიკის გავლა შესაძლებელია „Bloomberg Financial Markets Lab TSU"-ში, რასაც სტუდენტები აქტიურად იყენებენ. ნიმუშად წარმოდგენილი 2 სტუდენტის პრაქტიკის ანგარიში და დღიური სწორედ „Bloomberg" გავლილ პრაქტიკას ასახავს. როგორც ჩანს არსებული მიდგომები სრულად ვერ აკმაყოფილებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მოთხოვნებს, რაც დასტურდება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით, რომელიც პროგრამამ 2021 წლის აპრილში ჩაატარა (თსუ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის 2019 და 2020 წლის კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზი - დანართი 12.2) და აკრედიტაციის ვიზიტის მიმდინარეობისას სტუდენტებთან

გასაუბრებით. გამოკითხვის თანახმად რესპონდენტთა 88% პროფესიასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს იმ კომპეტენციად ასახელებს, რომლის განვითარებაშიც ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამამ მათ ხელი ვერ შეუწყო. საყურადღებოა, რომ რესპონდენტთა 57%-სათვის ასეთ კომპეტენციად აგრეთვე უცხო ენის შესწავლა განიხილება. ეს უკანასკნელი პირდაპირ კავშირშია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან (უცხოურ ენოვან სამეცნიერო ბაზებში მუშაობის უნარის განვითარებასთან), რაც სამეცნიერო/კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართვას ან მათ მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში სასიკეთოდ ვერ წაადგება. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელობა აცნობიერებს რა ამ გამოწვევებს, მსჯელობს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. ამ პროცესის დაჩქარებას, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას. კურიკულუმში წარმოდგენილია სასწავლო პრაქტიკა სავალდებულო კომპონენტად, როგორც ცნობილია ფაკულტეტზე საშუალოდ სწავლობს 400 სტუდენტი. მათთვის მაღალი ხარისხის ეკონომიკის სპეციალობის სასწავლო პრაქტიკის მიწოდება საკმაოდ ძნელია, აქედან გამომდინარე უსდ-მ უნდა იზრუნოს პრაქტიკის ცენტრების ადგილზე შექმნაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ საბაკალავრო დისერტაციის ნიმუშები; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ✓ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია დანართი 15 - კვლევითი აქტივობები, სტუდენტები; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან

ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: ✓ სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის საჭიროა სწრაფი რეაგირება 2021 წლის აპრილში ჩატარებულ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებზე - კონკრეტული სამოქმედო გეგმის დასახვა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება პრაქტიკა/სტაჟირების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესების კუთხით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ✓ უსდ-მ სასურველია იზრუნოს პრაქტიკის ცენტრების ადგილზე შექმნაზე, სხვაგვარად ის ვერ უზრუნველყოფს ყოველწლიურად 400 სტუდენტის პრაქტიკას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურს და კურსის შინაარსს. გამოყენებულია (მაგრამ გამიჯნული არაა) როგორც თეორიული ცოდნის შეძენის, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის აუცილებელი მეთოდები და აქტივობები. თუმცა აღნიშნული არ ახდენს გავლენას სწავლის შედეგების მიღწევებზე. სწავლა-სწავლების მეთოდები აღწერილია პროგრამის კურიკულუმში, ასევე პროგრამის სასწავლო კურსების და სხვა კომპონენტების სილაბუსებში, მათი შერჩევა კურსის/ კომპონენტის ავტორის ან განმახორციელებლის მიერ ხდება კომპონენტის თავისებურებების გათვალისწინებით. ამჟამად დანერგილი დისტანციური სწავლების ფორმა (გამოყენებულია ZOOM და MOODLE პლატფორმები) მნიშვნელოვნად ზღუდავს ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებას, რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ არსებული მეთოდები არა იმდენად სტუდენტზეა ორიენტირებული, რამდენადაც ობიექტური რეალობიდან გამოსავალს ასახავს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის დისტანციური სწავლების გვერდზე, სადაც Moodle-ის პლატფორმაა განთავსებული, ეტაპობრივად ხდება სხვადასხვა ტიპის ინსტრუქციების, ვიდეო გზამკვლევები და თემატური ლექციების ატვირთვა, რაც სტუდენტებისათვის პანდემიის პირობებში დამატებით მხარდაჭერას წარმოადგენს: https://e-learning.tsu.ge/. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოცემული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს, ამასთანავე ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. ამჟამად პროგრამას არ ყავს ინდივიდუალური საჭიროების მქონე ან უცხოელი სტუდენტები, რომელთა არსებობის შემთხვევაში პროგრამა მზადაა შეადგინოს ინდივიდუალური გეგმა და გამოიყენოს არსებულისგან განსხვავებული სწავლა-სწავლების მეთოდები ან აქტივობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ საბაკალავრო დისერტაციის ნიმუშები;

- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ✓ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია დანართი 15 - კვლევითი აქტივობები, სტუდენტები;
- ✓ თსუ აკადემიური საბჭოს №68-71/2018 დადგენილებები სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტთა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესახებ
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

✓

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამაში და სილაბუსებში ერთმანეთისგან გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.

თსუ-ს ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის თითოეული კურსის მსვლელობისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება, შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს-შუალედურ (ერთჯერად და მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.)

სასწავლო კურსები გარდა „გამოყენებითი კვლევითი პროექტისა“ ფასდება მრავალჯერადად. ეს კურსი არის სასწავლო კომპონენტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (2007 წლის 5 იანვარი), „მუხლი 4. სტუდენტის შეფასების მეორე პუნქტის საფუძველზე: დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით,“ საფუძველზე სტუდენტი უნდა შეფასდეს არა ერთჯერადად. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსი საბაკალავრო სემინარი ფასდება ერთჯერადად და მრავალი კომპონენტით.

აღნიშნული კომპონენტები შემდეგნაირია:

კრიტერიუმები	ქულა
კვლევითი პროექტის ფორმალური და შინაარსობრივი მხარე • ფორმალური მხარე • შინაარსობრივი მხარე	60 10 50
კვლევითი პროექტის პრეზენტაცია • ვერბალური მხარე და დისკუსიაში მონაწილეობა • ტექნიკური და ვიზუალური მხარე	40 30 10
გამოყენებითი კვლევითი პროექტის საბოლოო შეფასება	100

წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმებით სილაბუსის მიზნის მიღწევა ვერ დადასტურდება, საკითხის კომპლექსურ კვლევას, კრიტიკულ ანალიზს და რელევანტური დასკვნების ჩამოყალიბებას“. ამიტომ უნდა შეიცვალოს, ამ კურსის

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, სადაც ნათლად ჩანს, რომ ისინი კმაყოფილები არიან შეფასების კრიტერიუმებით. კითხვარი არის საუნივერსიტეტო, თუმცა სტუდენტებთან გადამოწმდა ინფორმაცია და მათ დაადასტურეს, რომ მათთვის ეს ინფორმაცია ღიაა და გამჭირვალე. სტუდენტებს აქვთ საშუალება უნივერსიტეტის პლატფორმაზე LMS, იხილონ სილაბუსი. გარდა ამისა ლექტორი პირველ ლექციაზე აცნობს კურსის ფარგლებში რა აქტივობები არის დაგეგმილი, ასევე შეფასების ფორმებს. აქედან გამომდინარე, სტუდენტებისათვის ეს პროცესი ძალიან მარტივია, შესაბამისად რაიმე კონკრეტული პრობლემა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კურსების მიმართ არ შექმნიათ. აღსანიშნავია, რომ ლექტორებს, რომლებსაც შევხდით ძალიან კარგად იციან სასწავლო პროგრამა, სწავლის შედეგები, მიზნები, შესაბამისად ამ მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე აქვთ შედგენილი ის მექანიზმები, რითაც თითოეულ სასწავლო კურს აფასებენ. თვითონ კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად ჩამოყალიბებული მექანიზმები თითოეულ სასწავლო კურს ერგება და საბოლოოდ სტუდენტს გაიყვანს იმ შედეგამდე, რაც პროგრამას და კურს აქვს მიზნად დასახული. ყველა სილაბუსში დეტალურად არის ჩაშლილი ქულების განაწილების სისტემა თითოეულ აქტივობასთან მიმართებაში. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ნებისმიერი აქტივობის, შეფასების შემდგომ თუ რაიმე კითხვა აქვს ან სურს უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოს საკუთარი მიღწევების შესახებ დეტალურად განიხილოს ლექტორთან. ლექტორები ყოველთვის მზად არიან, რომ სტუდენტებს გაუწიონ კონსულტაცია. შეფასება ხორციელდება სამართლიანად ყველა სტუდენტის მიმართ, დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ამის შესახებ სტუდენტებმა ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ მათ იციან პროცედურა ნიშნის გასაჩივრების შესახებ, თუმცა არასდროს ჩაუთვლიათ, რომ უსამართლოდ ხდებოდა მათი შეფასება, პირიქით, სტუდენტებს ძალიან მოსწონთ შეფასების მეთოდები და თვლიან, რომ მათ აქვთ საშუალება ნებისმიერ დროს თუ რაიმე კითხვა გაუჩნდებათ მიმართონ ლექტორს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- ✓ საბაკალავრო დისერტაციის ნიმუშები;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

- ✓ გამომდინარე იქედან რომ „გამოყენებითი კვლევითი პროექტი“ არის სასწავლო კურსი, უნდა შეიცვალოს მისი შეფასების სისტემა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი) შესაბამისად, ამასთანავე უნდა შეიცვალოს შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები კმაყოფილები არიან სტუდენტთა მომსახურებით. ისინი მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში იღებენ ინფორმაციას და კონსულტაციებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ პროგრამის ხელმძღვანელებისგან, თსუ ადმინისტრაციული ერთეულებისგან, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და ცალკეული ლექტორისგან. თსუ-ში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება, რასაც კოორდინირებულად ეწევიან როგორც ცენტრალური ადმინისტრაციის, ასევე, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები. სტუდენტებს ყველა საუნივერსიტეტო რეგულაციების, სიახლეების, სხვადასხვა სტუდენტური აქტივობების შესახებ აქვთ ინფორმაცია, რომელიც თავსდება თსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. უნივერსიტეტს ყავს ფაკულტეტის საბჭო, სადაც სტუდენტებიც არიან ჩართულნი, შესაბამისად პროგრამასთან დაკავშირებით სხვადასხვა საკითხები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე.

მაგალითად: სტუდენტებს ქონდათ სურვილი, რომ ბიზნესის ადმინისტრირების 10 კრედიტიანი კურსი დაყოფილიყო 5 კრედიტად და გადანაწილებულიყო ორ სემესტრში. რაც გაითვალისწინა ფაკულტეტმა და პროგრამის განმახორციელებლებმა. შესაბამისად, სტუდენტების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში საკმაოდ აქტიური იყო. სამწუხაროდ, სტუდენტები, რომლებსაც ჩვენ შევხდით ნაკლებად მოტივირებულები იყვნენ, ინტერვიუს პროცესში, შესაბამისად ახალ პროგრამას ნაკლებად იცნობდნენ, თუმცა მათი შეფასება პროგრამასთან მიმართებაში, საკმაოდ დადებითი იყო, სტუდენტებს ძალიან მოწონთ საგნების მრავალფეროვნება. ისინი ხშირად იღებენ გამოკითხვებში მონაწილეობას, რომელიც არ არის სავალდებულო, თუმცა მათ ეგზავნებათ კითხვარები და ცდილობენ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა.

უნივერსიტეტს აქვს თანამშრომლობა მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, როგორც ერასმუსის პროგრამები, ასევე ორმხრივი თანამშრომლობის პროექტები. ექსპერტებმა გამოვითხოვეთ გაცვლით ან ერთობლივ პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა სია, რაც ნამდვილად ადასტურებს იმას, რომ უნივერსიტეტს და თვითონ ფაკულტეტს საკმაოდ ფართო თანამშრომლობა აქვს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და რაც მთავარია ძალიან ბევრი სტუდენტი არის ამ თანამშრომლობის პროცესში ჩართული. იქიდან გამოდინარე, რომ ფაკულტეტს ყავს ბევრი სტუდენტი, გასაუბრებაზე კი მხოლოდ მცირე რაოდენობა იყო წარმოდგენილი, სტუდენტების მხრიდან მოწოდებული ინფორმაცია უფრო მცირე იყო, ვიდრე რეალურად ფაკულტეტი ახორციელებს. აქვე აღნიშნეს, რომ ისინი პერმანენტულად იღებენ უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდიდან ინფორმაციას დასაქმებასთან დაკავშირებით.

სტუდენტებს ძალიან მოკლე ვადაში ეტვირთებათ ნიშნები პლატფორმაზე, ამასთან დაკავშირებით არ ქონიათ პრობლემა. სტუდენტის მიღწევებთან და სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია გაწერილია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელ დოკუმენტში, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე, შესაბამისად ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.

საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, როგორც ყველა სხვა უნივერსიტეტი, თსუ ახორციელებს ონლაინ სწავლებას. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა ბევრი ცვლილება განახორციელა. მაქსიმალურად ცდილობს, რომ ორგანიზებულად ჩაატაროს გამოცდები ონლაინ რეჟიმში. ამ პროცესებთან დაკავშირებით ყველა ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. სტუდენტების თქმით ონლაინ სწავლებას მათთვის ხელი არ შეუშლია, პროცესები საკმაოდ ორგანიზებულად ვითარდება. შესაბამისად ამან მათ სწავლის ხარისხზე არ იმოქმედა.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს თავიანთი „პროფილის“ მეშვეობით შეადგინონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გაეცნონ მათ მიერ გავლილ სასწავლო კურსებში მიღებულ შეფასებებს, მიიღონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აქტუალური ინფორმაცია და სხვა. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, უზრუნველყოფს პერსონალის საკონსულტაციო საათების განრიგის შედგენას, გამოქვეყნებასა და სტუდენტების ინფორმირებას, ინფორმაცია განთავსებულია კათედრების/დეპარტამენტების სტენდზე და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში, რაც, როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, ონლაინ სწავლება ძალიან მოსახერხებელია და მათ არ უქმნით პრობლემას, სასწავლო პროცესი ორგანიზებულია პირიქით მათ ეზოგებათ სამგზავრო დრო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის პერსონალი დაკომპლექტებულია ძალიან გამოცდილი და კვალიფიციური აკადემიური პერსონალით, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. აკადემიური პერსონალის აბსოლუტური უმეტესობა ფლობს აკადემიურ ხარისხს.

პროგრამას ჰყავს 8 გამოცდილი ხელმძღვანელი და კოორდინატორი, ამასთანავე საერთო ჯამში ემსახურება 182 აკადემიური პერსონალი რომლიდანაც 81 აფილირებულია. მათ შორისაა, 13 პროფესორი, 45 ასოცირებული პროფესორი და 16 ასისტენტ პროფესორი და 7 მოწვეული ლექტორი. აკადემიურ პერსონალს აქვს პროგრამის კომპეტენციებთან შესაბამისი კვალიფიკაცია, კვლევებისა და სწავლების სათანადო გამოცდილება, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

აკადემიური პერსონალი შერჩეულია კონკურსის წესით, რომელიც იმართება კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციებითა და თსუ-ში არსებული რეგულაციებით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილება N118/2014 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ: https://www.tsu.ge/ge/juridical- /axad_council_resolutions/2014/1182014k/.

პროგრამის აკრედიტაციის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციის დამდასტურებელი საბუთები. ამასთანავე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა; სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი) და/ან პრაქტიკული პროექტი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მათ კომპეტენტურობას.

პროგრამის ხელმძღვანელები მუდმივად ზრუნავენ პროგრამის განვითარებაზე, ჩართულები არიან პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ახდენენ სტუდენტების კონსულტირებას, გეგმავენ და ორგანიზებას უწევენ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებს.

თსუ-ს განსაზღვრული აქვს აფილირებას წესი და გაწერილი აქვს დეტალური პირობები, რომელიც მოქმედებს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) მიმართ.

პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით. პროგრამას ემსახურება 60 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია და

კომპეტენცია შეესაბამება მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დაინტერსებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის ადამიანური რესურსი სრულად შესაბამისობაშია პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელების საჭიროებებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ✓ პერსონალის CV-ები ✓ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილება N118/2014 სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ: https://www.tsu.ge/ge/juridical-/axad_council_resolutions/2014/1182014k/. ✓ ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ . თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №122/2014, 29 დეკემბერი. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1222014 ✓ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №64/2018 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/642018//). ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ✓
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფილია პროფესიული განვითარების სერვისებით უსდ-ს მიერ. პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და მათ მიერ დაგეგმილი სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას უფინანსებს სამეცნიერო ნაშრომის (სტატია, სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.) დაბეჭდვას, ასევე მივლინებებს და მის განვითარებისათვის მნიშვნელოვან აქტივობებში (ტრენინგი, კონფერენცია, სიმპოზიუმი, სამუშაო შეხვედრა და ა.შ.) მონაწილოებას,

წარმოდგენილ პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 10500 ლარი სამეცნიერო კვლევებზე. პროგრამის ბიუჯეტში არ არის თანხები გამოყენებული აკადემიური ანდა ადმინისტარციული პერსონალის გადამზადებასა და ტრენინგებზე.

პროგრამის შედეგების პერიოდული შეფასება მიმდინარეობს უნივერსიტეტში დამკვიდრებული წესის მიხედვით. შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება პროგრამის შემდგომი დახვეწა და განვითარება.

უსდ-ში ფუნქციონირებს პერსონალის შეფასების წესი, რომელიც დამტკიცებულია „უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 26 თებერვლის დადგენილებით №81/2018 - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, ხდება პერსონალის მუშაობის შეფასება, მათი საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა, პერსონალის განვითარების საჭიროებების დადგენა, მათი ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარების ხელშეწყობა, შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა, სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესება.

უსდ ყოველწლიურად ხდება აკადემიური, სამეცნიერო, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება, რომელიც რეგულირდება თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N78/2018 დადგენილებებით. რომლის საფუძველზე ფაკულტეტზე მოქმედი შიდა რეგულაციით და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოთხოვნით ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ხდება კათედრის ყოველი წევრის სამეცნიერო მოღვაწეობის ანგარიშის/თვითშეფასების წარდგენა, სადაც აღწერილია სამეცნიერო პუბლიკაციები, პროექტები, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა სამეცნიერო აქტივობები.

წარმოდგენილ პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 43822 ლარი სამეცნიერო კვლევებზე.

პროგრამის შედეგების პერიოდული შეფასება მიმდინარეობს უნივერსიტეტში დამკვიდრებული წესის მიხედვით. შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება პროგრამის შემდგომი დახვეწა და განვითარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკის ფაკულტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №64/2018 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2018acad/642018//); ✓ პროგრამის ბიუჯეტი; ✓ „უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 26 თებერვლის დადგენილებით №81/2018 - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ✓ თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N78/2018 დადგენილება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის შესახებ; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე. ფაკულტეტი განთავსებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივ კორპუსში). ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ხდებოდა ფაკულტეტის სივრცეების რემონტი, განახლება და სხვადასხვა ტექნიკით აღჭურვა.

ფაკულტეტს ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის მიერ გამოყენებული, როგორც ქართული ისე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც წარმოდგენილია წიგნების, ელექტრონული გამოცემების და რიდერების სახით, ასევე სტუდენტებისთვის ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია უახლესი პერიოდული გამოცემები. როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ასევე სხვა სტუდენტებს წვდომა აქვთ მრავალფეროვან საერთაშორისო ბაზებთან.

ფაკულტეტს ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის მიერ გამოყენებული, როგორც ქართული ისე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც წარმოდგენილია წიგნების, ელექტრონული გამოცემების და რიდერების სახით, ასევე სტუდენტებისთვის ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია უახლესი პერიოდული გამოცემები. როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ასევე სხვა სტუდენტებს წვდომა აქვთ მრავალფეროვან საერთაშორისო ბაზებთან.

ფაკულტეტის სივრცეებში განთავსებულია სწავლება-სწავლებისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს:

- 3 რესურსცენტრი, რომელიც აღჭურვილია 117 პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით, სადაც სტუდენტებისა და პერსონალისთვის უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა ინტერნეტთან;
- 4 კომპიუტერული კლასი, რომელიც მთლიანობაში აღჭურვილია 70 პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით, პორტაბელური კომპიუტერით, პრინტერით და 4

პროექტორით; ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სასწავლო სამეცნიერო ცენტრები, რომლებიც ემსახურება პროგრამის მიზნების მიღწევას. მათ შორის:

- მაკროეკონომიკური კვლევების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 10 პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით;
- ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პორტაბელური და პერსონალური კომპიუტერების კომპლექტით, პრინტერით და პროექტორით;
- ბიზნეს-ეთიკის ცენტრი;
- ეკონომიკის კვლევისა და სწავლების ქართულ-ბერძნული ცენტრი;
- ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი;
- ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი;
- მარკეტინგული კვლევის ცენტრი;
- მიგრაციის კვლევის ცენტრი;
- მსოფლიო ეკონომიკის კვლევის ცენტრი;
- სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერების კომპლექტით, პრინტერით და პროექტორით;
- სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერების კომპლექტით, პრინტერით და პროექტორით;
- გლობალიზაციისა და მდგრადი განვითარების საუნივერსიტეტო სასწავლო სამეცნიერო ცენტრი;
- ტურიზმის კვლევითი ცენტრი, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერების კომპლექტით, პრინტერით და პროექტორით.

აკრედიტაციის ჯგუფმა გაითხოვა ფაკულტეტზე არსებული ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის სია, რის საფუძველზეც დადგენდა, რომ კომპიუტერული ტექნიკა თავისი მონაცემებით მოძველებულია და მათზე გაჭირდება დიდ მონაცემთა ბაზების დამუშავება, საბაკალავრო პროგრამისთვის გამოყოფილი სივრცეები უნდა აღიჭურვოს თანამედროვე სწრაფი კომპიუტერებით რომელთა საშუალებით სტუდენტებს ექნება წვდომა სტატისტიკური პროგრამების უახლეს ვერსიებზე კვლევის პროცესში მონაცემების მნიშვნელოვანი მოცულობის ანალიზისთვის. ამისთვის კარგი იქნება, რომ განხორციელდეს 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილება რომელშიც მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენისთვის თანხები იქნება გათვალიწინებული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ✓ პროგრამის ბიუჯეტი; ✓ მე-10 კორპუსის ინვენტარიზაციის სია; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის 2021 წლის ბიუჯეტის მიხედვით სტუდენტებისგან მიღებული შემოსავლები სწავლის გადასახადიდან (3,681,000 ლარი) მნიშვნელოვნად აღემატება ხარჯებს (2,297,515 ლარი). პროგრამის წმინდა შემოსავალია 1,383,485 ლარი. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამიდან მიღებული წმინდა შემოსავალი არამარტო უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსური მდგრადობას არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს უდს-ს ნაერთი ბიუჯეტის შევსებაში. ბიუჯეტის მუხლში: „სტუდენტური სწავლის დაფინანსების, გაცვლითი პროგრამების, პრაქტიკის, ექსპედიციის და სხვადასხვა კულტურულ სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები“ - დაგეგმილია 23450 ლარის ხარჯი. ეს მაჩვენებელი 1 სტუდენტზე გაანგარიშებით 16 ლარია, რომელიც ცოტაა თუ გავითვალისწინებთ, იმ საკითხს რომ აქ შედის სწავლების დაფინასება, გაცვლითი პროგრამები და პრაქტიკა. საჭიროა ბიუჯეტის ეს მუხლი მინიმუმ სამად განცალკევდეს, რომ მოხდეს უშუალოდ სტუდენტის არა სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული ხარჯების შეფასება. აქტივობების, იგივე თვითმართველობის პროექტების ხარჯები. აღსანიშნავია, რომ პერსონალის განვითარებასა და ტრენინგზე არ არის ბიუჯეტის მუხლი გათვალისწინებული, უნდა მოხდეს ამ აქტივობებისთვის ხარჯების გაწევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი;
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

- ✓ უსდ-მ უნდა გადახედოს ბიუჯეტში სტუდენტური საქმიანობისთვის გამოყოფილ დაფინასებას. ბიუჯეტის მუხლი „სტუდენტური სწავლის დაფინანსების, გაცვლითი პროგრამების, პრაქტიკის, ექსპედიციის და სხვადასხვა კულტურულ სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები“ - დაანალიზოს კატეგორიებად, რომელიც უფრო გამჭირვალედ წარმოაჩენს ხარჯების სტრუქტურას, და დადგინდება რა დაიხარჯება სტუდენტურ აქტივობებზე. ასევე უნდა გაიზარდოს სტუდენტების კურიკულუმის გარეშე აქტივობების ბიუჯეტი.
- ✓ უსდ-მ უნდა გადახედოს ბიუჯეტს და მასში პერსონალის განვითარებასა და ტრენინგებზე გაითვალისწინოს ხარჯები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების სისტემა ხორციელდება რეგულარულად. თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან - ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის

უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PCDA” პრინციპის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეხვედრები გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და დისკუსიის წარმართვის მიზნებისათვის.

უსდ-ს დანერგილი აქვს საგანმანთლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის საქმიანობა გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. კომიტეტში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, შედის ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები საჭიროების შემთხვევაში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის 2019 წელს ჩატარებული მოდელირებული ექსპერტთა ვიზიტის შეფასების შედეგები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში.

უნივერსიტეტის და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთობლივად განხილავენ სხვადასხვა კვლევების შედეგებს, მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს მიიმდინარე რეგულაციებთან და ზრუნავენ სხვადასხვა დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები ✓ განხორციელებული შიდა შეფასების ანგარიში ✓ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტის სხდომებზე პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის ოქმები; ✓ განხორციელებული შიდა შეფასების ანგარიში ✓ ექსპერტირებულ ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებებისა და განსახორციელებელი ცვლილებების გეგმა; ✓ თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება https://tsu.ge/assets/media/files/7/debuleba.pdf; ✓ აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის განვითარების კომიტეტსა და გარე ექსპერტის შეფასებას და აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარე ხარისხის შეფასების ისეთი მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა. მიღებული რეკომენდაციები კი გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად, დადგინდა რომ პროგრამა გარე კოლეგიალური შეფასების ფარგლებში გაზიარებულ იქნა ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთან. პროგრამა შეფასდა როგორც თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი და აღინიშნა ინსტიტუციისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა და ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესებში. გარდა ამისა, პროგრამას აქვს მხარდაჭერა და პოზიტიური შეფასება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის, როგორც დამსაქმებლის მხრიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:

- ✓ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები;
- ✓ განხორციელებული შიდა შეფასების ანგარიში;
- ✓ მხარდაჭერის წერილები (ბერლინის უნივერსიტეტი, საქსტატი);
- ✓ ექსპერტირებულ ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებებისა და განსახორციელებელი ცვლილებების გეგმა'
- ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური,

სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგად, გამოვლენილ იქნა საყურადღებო ტენდენცია, ე.წ. „ნიშნების ინფლაცია“ - სტუდენტთა შედეგები და შესაბამისად აკადემიური მოსწრება უფრო მაღალია პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აღნიშნული შედეგები და რეკომენდაციები გააცნო დაინტერესებულ მხარეებს. ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების ყველა შესაბამის სამუშაო ეტაპზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან /პრაქტიკოსებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. აღსანიშნავია გამოკითხვებში დაინტერესებულ მხარეთა დაბალი ინტერესი და გამოპასუხების დაბალი მაჩვენებელი. ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული ცვლილებების მუხედავად, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა. სასურველია სხვადასხვა მექანიზმების დანერგვა და განხორციელება გამოკითხვებში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით სტუდენტთა და თანამშრომელთა მიმართულებით.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილია პროგრამების კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებში პერიოდულ მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამები, რომლებიც აკრედიტაციის ვადის ფარგლებში რეგულარულად განიცდიან ცვლილებებს და ის პროგრამები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განიცდიან ცვლილებებს. აღნიშნული სააკრედიტაციო პროცესის სიმულაციური ფორმატი ხელს უწყობს პროგრამების შეფასებას, ასევე, დაინტერესებულ და ჩართულ მხარეთა მიერ პროგრამების განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას. უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანთლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სამიზნე უნივერსიტეტები შერჩეულია დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით წარმატების მაჩვენებლების შესაბამისად. ანალოგი პროგრამების გამოცდილების გაზიარების შედეგად, გამოიკვეთა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კომპლექსური და მრავალფეროვანი შინაარსი. ვინაიდან პროგრამა სააკრედიტაციო რეჟიმშია, პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით რეაკრედიტაციისთვის გათვალისწინებული იქნება რიგი ცვლილებები. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად და შესაბამისად სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ✓ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა; ✓ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები/შედეგები; ✓ ინტერვიუს შედეგები, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან. ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;

✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება გამოკითხვებშიდაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
„ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის პროექტის გვერდების რაოდენობა: 55

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ეკა გეგეშიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

მაია ბარამიძე

ნიკოლოზ ყაველაშვილი

თამთა ცხოვრებაძე

თამარ თავხელიძე